USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №43
აპრილი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №43 ბიულეტენს. მასში აღწერილია აპრილში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოების შუალედური არჩევნები, მერების რიგგარეშე არჩევნები

საქართველოს მოქალაქეებმა 29 აპრილს 10 მუნიციპალიტეტში გამართულ შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა. 2 მუნიციპალიტეტში - მერის არჩევნები, 5-ში - საკრებულოების მაჟორიტარი წევრების, ხოლო 3-ში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები ჩატარდა.[1] შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის 164 უბანი გაიხსნა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ამჯერად დიდი მასშტაბით გამოიყენა ელექტრონული ტექნოლოგიები.[2] ამომრჩეველთა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატების გამოყენებით, კენჭისყრა 117 საარჩევნო უბანზე ჩატარდა,[3] დანარჩენ 47 უბანზე კი ტრადიციული პროცედურით წარიმართა.[4]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის („ცესკო") ინფორმაციით, ცაგერის მუნიციპალიტეტში გამართულ მერის არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი - დავით ზალკანიანი („ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო") მონაწილეობდა. მან ხმების 100% მიიღო. იგივე სიტუაცია იყო თერჯოლაშიც, სადაც მანუჩარ რობაქიძემ („ქართული ოცნება") ასევე ხმების 100% მიიღო.[5] თითო კანდიდატი მონაწილეობდა და ხმების 100% მიიღეს შემდეგ ოლქებში: ქუთაისის მაჟორიტარული ოლქი – მიხეილ გიორგაძე („ქართული ოცნება"); ახალციხის მაჟორიტარული ოლქი – როინი ნებაძე („ქართული ოცნება"); თიანეთის მაჟორიტარული ოლქი – იოსებ მათურელი („ქართული ოცნება"); გურჯაანის მაჟორიტარული ოლქი – ზურაბი მუხულიშვილი („ქართული ოცნება").[6] ორი კანდიდატი მონაწილეობდა ტყიბულის მაჟორიტარულ ოლქში – გიორგი კერესელიძე („ქართული ოცნება" – 87%) და გიორგი გაგოშიძე (დამოუკიდებელი – 13%).[7] ფოთის, ხობისა და სენაკის ოლქში საპარლამენტო მაჟორიტარის არჩევნებში „ქართულ ოცნებასთან" ერთად კახა კუკავას პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოც" მონაწილეობდა. შედეგები ასეთია: გიორგი ხახუბია („ქართული ოცნება") – 95%, ბესიკი წულეისკირი („თავისუფალი საქართველო") – 5%.[8]

ცესკოს ინფორმაციით, საარჩევნო პროცესს 12 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, ასევე

[1] „ცესკომ 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539780, განახლებულია: 03.05.2023.

[2] „29 აპრილს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები გაიმართება", ცესკოს ვებგვერდი, 2023 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/t2m77, განახლებულია: 05.05.2023.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] „ცესკომ 29 აპრილის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539780, განახლებულია: 03.05.2023.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] იქვე.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების 55 დამკვირვებელი აკვირდებოდა.[9] მათი შეფასებით, არჩევნებმა მშვიდ გარემოში, ორგანიზებულად ჩაიარა.[10] 165 უბნიდან 117-ზე ხმის მიცემა ელექტრონულად წარიმართა.[11]

საკრებულოს შუალედურ არჩევნებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ქუთაისის მაჟორიტარულ ოლქში დააკვირდა. გამომდინარე იქიდან, რომ აქტივობის რიცხვი საკმაოდ დაბალი იყო (ქუთაისის შემთხვევაში 21%), რთულია იმ პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება ახლდეს უბნებში ამომრჩეველთა გაზრდილი რაოდენობის შემთხვევაში არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებას. კენჭისყრის დღემ მშვიდად ჩაიარა. მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები უკონკურენტო გარემოში მიმდინარეობდა, დაფიქსირდა ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევები. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, საიას დაკვირვებით, გამოიკვეთა ხარვეზები ელექტრონული აპარატების მუშაობის კუთხით. თუმცა, ასეთ უბნებზე ამ ფაქტს კენჭისყრის პროცესისთვის ხელი არ შეუშლია. გამოვლინდა როგორც მოქალაქეთა, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ცნობიერების გაზრდის საჭიროებები. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა იყო კენჭისყრის მიმდინარეობისას ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები.

2. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) კვლევის შედეგები

25 აპრილს „საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა“ (IRI) გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის ახალი კვლევის შედეგები.[12] კვლევის თანახმად, ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოქალაქეები მტკიცედ უჭერენ მხარს.[13] გამოკითხულთა უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიებს ნაკლებად ენდობა.[14] კითხვაზე – არჩევნები რომ ამ შაბათს ტარდებოდეს, რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდი ხმას? – 19%-მა „ქართული ოცნება“ დაასახელა, 14%-მა – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ენმ) 3%-3%-მა – გიორგი გახარია - საქართველოსთვის“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“, 2%-2%-მა კი – „ლეიბორისტული პარტია“, „ლელო საქართველოსთვის“ და „გირჩი“.[15]

გამოკითხულთა 89% სრულად ან მეტწილად ემხრობა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. რაც შეეხება ნატოს, ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას სრულად ან მეტწილად რესპონდენტების 80% ემხრობა.[16]

IRI-ის კვლევა შეაფასეს უმრავლესობაში. პარლამენტის ვიცე-სპიკერის, არჩილ თალაკვაძის განცხადებით, მიუხედავად კვლევებში ამგვარი შედეგებისა, ხელისუფლება არჩევნებზე გაცილებით მეტ ხმას იღებდა, ვიდრე ოპოზიცია.[17] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ლევან

---

[9] იქვე.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] “National Public Opinion Survey of Residents of Georgia | March 2023”, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) ვებგვერდი, 2023 წლის 23 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.iri.org/resources/national-public-opinion-survey-of-residents-of-georgia-march-2023/, განახლებულია: 05.05.2023.
„IRI-ის კვლევა: ევროკავშირში გაწევრიანებას საქართველოს მოქალაქეების მტკიცე მხარდაჭერა აქვს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538757, განახლებულია: 05.05.2023.
[13] იქვე.
[14] იქვე.
[15] იქვე.
[16] იქვე.
[17] „პოლიტიკოსები IRI-ის კვლევის შედეგებს ეხმიანებიან“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538996, განახლებულია: 05.05.2023.

ხაბეიშვილის განცხადებით, კვლევამ აჩვენა, რომ „ენმ-ის“ რეიტინგი გაზრდილია.[18]

3. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები

20 აპრილს გამოქვეყნდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დოკუმენტი სახელწოდებით – „ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მდგომარეობა“.[19] მასში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის თითოეულ პრიორიტეტზე, ასევე საუბარია, რამდენად შესრულდა ისინი და რა რჩება შესასრულებელი.[20] კვლევის მიხედვით, სრულად შესრულებულია მხოლოდ ერთი პრიორიტეტი, ორი – მეტწილად შესრულდა, ოთხი – ნაწილობრივ, ხუთი კი – საერთოდ არ არის შესრულებული.[21] დოკუმენტის თანახმად, დეპოლარიზაციის პრიორიტეტი არ შესრულდა და, მიუხედავად მოლოდინისა, რომ იგი შემცირდებოდა, პირიქით, მეტად გაღრმავდა.[22]

დოკუმენტში ნათქვამია, რომ საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმების პრიორიტეტის ზოგიერთი ელემენტი შესრულდა, მაგრამ არა - ყველა.[23] პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვერ აირჩია.[24] გარდა ამისა, არ არის გათვალისწინებული ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის ზოგიერთი გადამწყვეტი ერთობლივი რეკომენდაცია, როგორებიცაა: საარჩევნო ოლქების დელიმიტაცია, მედიაკამპანიის რეგულაციების დახვეწა, ამომრჩეველთა დაშინების პრევენციული ზომები და სხვა.[25] ამასთანავე, უცვლელი რჩება 5%-იანი საარჩევნო ბარიერი, დაუშვებელია საარჩევნო ბლოკები, რაც ოპოზიციურ პარტიებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არახელსაყრელ პირობებში ტოვებს.[26]

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

26-18 აპრილს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზბიგნევ რაუ თბილისს სტუმრობდა.[27] მან შეხვედრები გამართა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან და ქართველ კოლეგა ილია დარჩიაშვილთან.[28] ზბიგნევ რაუს განცხადებით, პოლონეთი თანმიმდევრულად მხარში უდგას საქართველოს და მომავალშიც გააგრძელებს ქართველი საზოგადოების მისწრაფებების მხარდაჭერას ევროპული და ტრანსატლანტიკური ინტეგრაციისკენ.[29]

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ეუთო/ოდირი) თავმჯდომარის ვიზიტი

10-11 აპრილს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბუიარ ოსმანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს სტუმრობდა.[30] ის პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს, ქართველ კოლეგა ილია დარჩიაშვილს, შერიგებისა

---

[18] იქვე.
[19] „საქართველოს რეფორმების შეფასება: ევროკავშირის 12 პირობის ანალიზი“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538320, განახლებულია: 03.05.2023.
[20] იქვე.
[21] იქვე.
[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] იქვე.
[27] „პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისს სტუმრობს“ საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539167, განახლებულია: 03.05.2023.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე.

და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თეა ახვლედიანს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.[31] ბუიარ ოსმანის განცხადებით, ეუთო განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას და მუშაობას თანამშრომლობის გასაძლიერებლად.[32]

სტრასბურგში პრეზიდენტის ვიზიტის გაუქმება

14 აპრილს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გააუქმა სტრასბურგში დაგეგმილი ვიზიტი, სადაც ევროპარლამენტში მისი გამოსვლა იგეგმებოდა.[33] პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ეს გადაწყვეტილება მან საქართველოს მთავრობის მხრიდან თანხმობის პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების გამო მიიღო.[34] მთავრობის ადმინისტრაცია მალევე გამოეხმაურა პრეზიდენტის განცხადებას და აღნიშნა, რომ ინფორმაცია, თითქოს საქართველოს მთავრობამ ხელოვნურად გააჭიანურა თანხმობის გაცემის პროცესი, რაც ვიზიტის გადადების მიზეზი გახდა, მცდარია და სიმართლეს არ შეესაბამება.[35]

ამერიკელი სენატორის განცხადება

ამერიკელმა სენატორმა ჯინ შაჰინმა 26 აპრილს აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე, რომელიც USAID-ის 2024 წლის ბიუჯეტს განიხილავდა, განაცხადა, რომ საქართველოში შიდა ბრძოლაა ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის.[36] სენატორის თქმით, ქვეყნისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი შესაძლებლობა იქნება მოახლოებული არჩევნები 2024 წელს.[37] ჯინ შაჰინის განცხადებით, აშშ საქართველოს მხარდაჭერაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. სენატორმა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სადამკვირვებლო მისიის გაგზავნის საჭიროებაზეც ისაუბრა.[38]

დებატები დიდი ბრიტანეთის პარლამენტში

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ადამ ჰოლოვეიმ (ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია) 27 აპრილს პარლამენტში გამართული დებატების დროს, რომელიც საქართველოში პოლიტიკური და უსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციას მიეძღვნა, „ქართული ოცნება“ გააკრიტიკა და მას პროპუტინისტური, პრორუსული ჯგუფი უწოდა.[39] დეპუტატის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ, შესაძლოა, საქართველო რუსულ მარიონეტად აქციოს გლობალური უსაფრთხოებისთვის ასეთ მნიშვნელოვან რეგიონში.[40] დებატების დროს დეპუტატებმა დაადასტურეს დიდი ბრიტანეთის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, მისი ევროპული, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის საჭირო რეფორმების მიმართ.[41]

---

[31] იქვე.
[32] იქვე.
[33] „პრეზიდენტმა ევროპარლამენტში გამოსვლისთვის სტრასბურგში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/537532, განახლებულია: 03.05.2023.
[34] იქვე.
[35] იქვე.
[36] „ჯინ შაჰინი: საქართველოში შიდა ბრძოლაა ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539414, განახლებულია: 03.05.2023.
[37] იქვე.
[38] იქვე.
[39] „ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოზე გამართულ მოსმენაზე ქართული ოცნება გააკრიტიკეს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539577, განახლებულია: 03.05.2023.
[40] იქვე.
[41] იქვე.

ევროპელი სოციალისტების პარტია (PES) „ქართული ოცნების“ შესახებ

28 აპრილს ევროპელი სოციალისტების პარტიაში (PES) გაერთიანებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები ონლაინფორმატში შეიკრიბნენ და, სხვა საკითხებთან ერთად, პარტიის დამკვირვებელი წევრის, „ქართული ოცნების“ გარშემო არსებული ვითარება განიხილეს.[42] PES-მა შეშფოთება გამოხატა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბოლოდროინდელი ქმედებებისა და განცხადებების გამო.[43] როგორც ცნობილია, მიმდინარე კვირას პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ბუდაპეშტში კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციაზე (CPAC) გეგმავს სიტყვით გამოსვლას, რომელსაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მასპინძლობს.[44]

PES-ის აღმასრულებელმა გენერალურმა მდივანმა ჯაკომო ფილიბეკმა განაცხადა, რომ, „თუ პრემიერ-მინისტრს PES-ის დამკვირვებელი პარტიიდან ვიქტორ ორბანთან და ამერიკის კონსერვატიულ პოლიტიკურ სამოქმედო კონფერენციასთან სურს ღირებულებების გაზიარება, მაშინ PES-ში „ქართული ოცნების“ სტატუსი გადასახედი იქნება.[45] ეს საკითხი მანამდე PES-ის პრეზიდენტმა სტეფან ლოფვენმა მარტში დააყენა, ხოლო მისი განხილვა და გადახედვა თავმჯდომარეების მომდევნო შეხვედრაზე, 2023 წლის ივნისში იგეგმება.[46]

4. პოლიტიკური პარტიების აქციები თბილისში

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით გამართული აქცია

თბილისში, პარლამენტის შენობასთან 9 აპრილს პარტია „ენმ-ის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია გაიმართა სახელწოდებით „ერთად ევროპაში“.[47] „ენმ-ის“ წევრები, მხარდამჭერები, აქტივისტები, სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და რიგითი ადამიანები პარლამენტთან იმის სათქმელად შეიკრიბნენ, რომ საქართველოს მოქალაქეები არ შეეგუებიან ქვეყნის რუსეთიზაციას და თავისუფლების დაკარგვას.[48]

„ენმ-ის“ თავმჯდომარემ საზოგადოებას აქციის მოთხოვნებიც გააცნო, რომელთა შორის იყო: 2023 წლის 7-9 მარტის აქციებისას ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლის ბრალდებით დაკავებული 21 წლის ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლება; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დასანქცირებული მოსამართლეების „დაუყოვნებლივ გადადგომა“; პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის ნიკა გვარამიას გათავისუფლება; დეოლიგარქიზაციის კანონის მიღება; სასამართლო სისტემისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმა.[49]

საპროტესტო აქცია სახელწოდებით „მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“

30 აპრილს რესპუბლიკის მოედანზე მოძრაობა „აი უცნობმა“ საპროტესტო აქცია გამართა სახელწოდებით „მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და ლოზუნგით „არა ომს! მშვიდობა

---

[42] „ევროპელი სოციალისტების პარტიას კონსერვატორთა კონფერენციასთან „ოცნების“ დაახლოება აშფოთებს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539577, განახლებულია: 03.05.2023.

[43] იქვე.

[44] იქვე.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] „ერთად ევროპაში“ – პარლამენტთან ენმ-ის ორგანიზებული აქცია გაიმართა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/537127, განახლებულია: 03.05.2023.

[48] იქვე.

[49] იქვე.

ჩვენს ქვეყანას".[50] თბილისის საკრებულოში „ქართული ოცნების" ყოფილმა დეპუტატმა ვატო შაქარაშვილმა საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები დაუძინებელ მეგობრებად მოიხსენია და ხალხს მოუწოდა, განიხილონ, რა სჭირდება სინამდვილეში საქართველოს.[51] მან ეჭვქვეშ დააყენა ნატოში გაწევრიანების არარეალური გეგმებისა და მიზნების გატარების მნიშვნელობა, ნაცვლად ამისა კი, შესთავაზა, საქართველომ პრიორიტეტად ნეიტრალიტეტი დაისახოს. მისივე თქმით, საქართველო ევროკავშირისგან პოზიტიურ პასუხს არ უნდა ელოდეს, რადგან მიაჩნია, რომ საერთაშორისო პარტნიორები ქვეყანას მშვიდობის დაცვის გამო სჯიან.[52]

5. ნიკა გვარამიას პატიმრობა

21 აპრილს ადამიანის უფლებათა და პრესის თავისუფლების დამცველმა თერთმეტმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს ერთობლივი წერილით მიმართა და ტელეკომპანია „მთავარი არხის" დირექტორის ნიკა გვარამიას შეწყალება სთხოვა.[53] ორგანიზაციებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და პრეზიდენტს მოუწოდეს, გადადგას ეს ნაბიჯი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე წინ წასაწევად.[54]

წერილში ორგანიზაციებმა ქართველ ხალხს მიულოცეს „უცხოეთის აგენტებზე" კანონპროექტის პარლამენტიდან გაწვევა და პრეზიდენტს მოუწოდეს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ძალაუფლება და პატიმრობიდან გაათავისუფლოს ნიკა გვარამია, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრესის თავისუფლების დაცვის მიმართულებით.[55] მათი თქმით, გვარამიას გასამართლებამ, რომელსაც 2022 წლის 16 მაისს, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო, 3.5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის შეშფოთება გამოიწვია. აშშ-ის საელჩომ, საქართველოს მაშინდელმა სახალხო დამცველმა, ასევე ადგილობრივმა თუ საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა კი ეს ფაქტი პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასეს.[56]

აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადებით, ჰელსინკის კომისია ძალიან პატივსაცემი ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს მანდატი აშშ-ის კონგრესისგან, რომ მსოფლიოს მასშტაბით ადამიანთა უფლებებს, მათ შორის, მედიის თავისუფლებას გაუწიოს მონიტორინგი.[57] ელჩის თქმით, ამ ორგანიზაციამ, ისევე, როგორც სხვებმა, მათ შორის, აშშ-ის საელჩომ, მკაფიოდ გამოხატა შეშფოთება გვარამიას საქმეზე.[58] მისი განცხადებით, შეწყალების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება პრეზიდენტ ზურაბიშვილის მისაღებია.[59]

---

[50] „ულტრაკონსერვატიულმა მოძრაობამ 30 აპრილის აქციაზე თავისი მოთხოვნები წარადგინა", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 1-ლი მაისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539743, განახლებულია: 03.05.2023.

[51] იქვე.

[52] იქვე.

[53] „საერთაშორისო ორგანიზაციები პრეზიდენტს ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ მოუწოდებენ", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538466, განახლებულია: 03.05.2023.

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] „აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩები: ნიკა გვარამიას შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის გადასაწყვეტია", საინფორმაციო პორტალი „civil.ge", 2023 წლის 24 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/538699, განახლებულია: 03.05.2023.

[58] იქვე.

[59] იქვე.

6. მიხეილ სააკაშვილის საქმე

4 აპრილს გამოქვეყნდა პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, თებერვლის ვიზიტის შემდეგ სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმდა.[60]

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი ადამ ჰოლოვეი (ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია) 27 აპრილს პარლამენტში გამართული დებატების დროს, რომელიც საქართველოში პოლიტიკური და უსაფრთხოების კუთხით არსებულ სიტუაციას მიეძღვნა,[61] ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პატიმრობასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ დამოუკიდებელმა ექიმებმა დაადასტურეს სააკაშვილის სისხლში მძიმე ლითონებით მოწამვლის კვალი და ის შეიძლება საავადმყოფოში მოკვდეს.[62]

[60] „ომბუდსმენის კონსილიუმმა მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაზე მორიგი დასკვნა გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 4 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/535718, განახლებულია: 03.05.2023.

[61] „ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოზე გამართულ მოსმენაზე ქართული ოცნება გააკრიტიკეს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge”, 2023 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/539577, განახლებულია: 03.05.2023.

[62] იქვე.